

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N16

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

15.05.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -**გიორგი ივანიაძე**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: –გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, რობიზონ ფუტყარაძე, ვარლამ გიორგაძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი -**კობა მალლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -**ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში -**ლუბა გოგოძე**.

საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

მოწვეული პირები:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ივანე მამფორია**.

მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი -**ზვიად კაკანაძე**.
მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე**.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს საამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: /ნარგიზი ალფაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერპილარის მარკის 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA 071 B) ა (ა)იპ „ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

7. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სარეზერვო ფონდიდან 3 თვის განმავლობაში გამოყოფილი თანხების ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: /ივანე მამფორია/

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2018 წლის განვლილ პერიოდში არსებული მდგომარეობის შესახებ (საანგარიშო პერიოდი: 2018 წლის 01 იანვრიდან-01 მაისამდე).

მომხსენებელი: /კობა მაღლაკელიძე/

9. სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 570,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N952 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორა-უხუთის გზის რეაბილიტაციისათვის დამატებით გამოყოფილი 570,0 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვით. ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი სახლის კორექტირებები:

- ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები იზრდება 570,0 ათასი ლარით, გორა უხუთის გზის რეაბილიტაციისათვის. საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილი გადასახდელები ტენდერში წარმოშობილი ეკონომიის ხარჯზე მცირდება 5,0 ათასი ლარით.
- ბ) ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების დაფინანსება იზრდება 8,0 ათასი ლარით, პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროგრამის განხორციელების მიზნით 5,0 ათასი ლარით და 3,0 ათასი ლარით სხვა ხარჯებისათვის.
- გ) ახალგაზრდული, კულტურული და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსებიდან ტურიზმის მიმართულების გათვალისწინებული თანხები მცირდება 15,0 ათასი ლარით.
- გ) ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებისათვის გამოიყოფა 15,0 ათასი ლარი.
- დ) სარიტუალო დახმარების პროგრამა მცირდება 10,0 ათასი ლარით.
- ე) სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა იზრდება 10,0 ათასი ლარით.
- ვ) მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება მცირდება 3,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N 111)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინტრაციიდან ამ დადგენილებაზე მოვიდა შენიშვნები, გაითვალისწინეს ეს შენიშვნები და დაგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(დანართი: დადგენილება N112).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს საამშენებლო საქმიანობაზე

სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა შევიდა ცვლილება დადგენილების სათაურში და პირველ მუხლში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმა თანდართული ფორმების (დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4 და დანართი N5) შესაბამისად.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(დანართი: დადგენილება N113)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა წესდებაში, კერძოდ წესდების ტექსტში სიტყვა „გამგეობა“ შეიცვალა „მერია“თი და „გამგებელი“ „მერი“-თ. გარდა ამისა სამსახურის წესდების მე-3 მუხლს დაემატა: „ბინადარი ცხოველების და მათი პიპულაციების მართვის და კონტროლის ორგანიზება; სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სანაშენე მუშაობა და ჯიშთა გაუმჯობესება, მათი ხელოვნური დათესვლა და სელექციური მუშაობის ჩატარება;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ვანის კომუნალური გაერთიანება (ს/კ 429649017) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 46)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერპილარის მარკის 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA 071 B) ა (ა)იპ „ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვნების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს (ა. გოგორიშვილი), მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერპილარის მარკის, 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA 071 B) ა(ა)იპ „ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვნების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერპილარის მარკის 428D მოდელის

ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA 071 B) ა (ა)იპ „ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხრე – 26
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერპილარის მარკის 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA 071 B) ა (ა)იპ „ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 47).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ დეპუტატებს გააცნო 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში:

ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100.0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტში 4-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც შემოსულობები დაზუსტდა 10700.8

ათასი ლარის, გადასახდელები 13558.5 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება -2857.7 ათასი ლარის მოცულობით.

დეპუტატების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ დეპუტატებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სარეზერვო ფონდიდან 3 თვის განმავლობაში გამოყოფილი თანხების ხარჯვის შესახებ“. კერძოდ, სარეზერვო ფონდიდან 9 ადამიანს გაეწია დახმარება სამკურნალოდ და მედიკამენტების შესაძენად. 2 ოჯახს გამოეყო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯები. გარდა ამისა მოხდა თანხების გამოყოფა გზების გაწმენდითი სამუშაოებისთვის.

დეპუტატების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატის უფროსმა კობა მაღლაკელიძემ საკრებულოს წევრებს ცნობის სახით მოკლედ გააცნო საკრებულოს აპარატის ანგარიში 2018 წლის იანვრიდან -მაისამდე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აპარატის თანამშრომლები თავიანთ სამსახუროებრივ მოვალეობას ასრულებენ დამაკმაყოფილებლად, მიუხედავად აღნიშნულისა მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საკრებულოს მუშაობის რეგლამენტის დაცვის საკითხს. არის შემთხვევები, როცა მუნიციპალიტეტის მერიიდან

საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა პროექტები შემოდის დაგვიანებით, რის გამოც საკრებულოს კომისიების, ბიუროსა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომები იმართება სპონტალურად, რაც თავის მხრივ ზოგჯერ იწვევს სხდომების ორგანიზაციულად უზრუნველყოფის პრობლემებს. დასახვეწია საოქმე წარმოების საქმე, მისი სტილისტური გამარტივების მიზნით, მეტი სრულყოფილებაა საჭირო საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, საკადრო დოკუმენტაციის სრულყოფის საქმეში. საორგანიზაციო და იურდიულ საკითხთა განყოფილებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ნორმატიული სამართლებრივი აქტების კვალიფიცირებულად მომზადების საქმეს. საკუთარი უფლება - მოვალეობიდან გამომდინარე აღნიშნულ საკითხებში მეტი ჩართულობაა საჭირო საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მხრიდან.

დეპუტატების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ „სხვადასხვაში“ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, რომ შემოსულია განცხადება, რომელშიც მოსახლეობა ითხოვს ქალაქ ვანში სოლომონ მეორის ქუჩაზე რაგბის სტადიონისთვის ბეჟან ხურციდის სახელის მინიჭებას. განცხადება ცნობის სახით მიიღო ქონების მართვის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის კომისიამ, მომზადებულია დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის.

„სხვადასხვაში“ საკრებულოს წევრმა თამარ შენგელიამ საკრებულოს წევრებს თხოვა გაეგრძელებინათ ინფორმაცია, 17 მაისს ქ. ვანის საკათედრო ტაძარში, „ოჯახის სიწმინდის“ დღეს და „ამაღლების“ დღესასწაულთან დაკავშირებით საკათედრო ტაძარში საყოველთაო ჯვრისწერასთან დაკავშირებით.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე